



## მიტროპოლიტმა ილარიონმა მოუწოდა არჩევნებში ხმის მიცემისას ამომრჩეველმა საკუთარი სინდისის ხმით იხელმძღვანელოს



რუსეთის სახელმწიფო დუმის არჩევნებამდე ერთი კვირა რჩება. „თითოეული ადამიანმა, ვინც წავა ხმის მისაცემად, უპირველეს ყოვლისა, თავისთვის უნდა განსაზღვროს – პოლიტიკური ლიდერებიდან, პოლიტიკური პარტიებიდან რომელია მისთვის სიმპათიური, და არჩევანი გააკეთოს საკუთარი სინდისის ხმის შესაბამისად“, – ფიქრობს ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტი ილარიონი, რომელმაც ქვეყნის ცხოვრებაში ამ მნიშვნელოვან მოვლენებზე თავისი მოსაზრება სატელევიზიო გადაცემის „ეკლესია და მსოფლიო“-ს წამყვანის ე. გრაჩოვას თხოვნით გააზიარა.

ამავე დროს, იერარქმა შეახსენა, რომ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია არ მონაწილეობს პოლიტიკურ ბრძოლაში. „ჩვენ არასოდეს ვეუბნებით ჩვენს მორწმუნეებს, რომ ხმა მისცენ ამა თუ იმ

პარტიას“, – აღნიშნა მან.

„ერთადერთი, რის შესახებაც ვცდილობთ შეხსენებას, – ეს არის ის, რომ ჩვენ, როგორც ეკლესია, დაინტერესებულნი ვართ სტაბილურობით ჩვენს სახელმწიფოში, უბრალო სამოქალაქო, კონფესიათაშორისი და ეროვნებათშორისი მშვიდობის შენარჩუნებით,“ – აღნიშნა მეუფე ილარიონმა და გაიხსენა, რომ მშვიდობისკენ მიმართული ძალისხმევით ესა თუ ის პოლიტიკური, საზოგადოებრივი ძალები იპოვიან ეკლესიის მხარდაჭერას.

*სსკგ-ს კომუნიკაციების სამსახური*

---

წყარო: <https://mospat.ru/ge/news/88012/>